

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## საიას თავმჯდომარე პარლამენტის სპიკერს ღია წერილით მიმართავს

ბატონო დავით,

უპირველეს ყოვლისა მინდა დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და განსაკუთრებულად გავუსვა ხაზი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და საქართველოს პარლამენტს შორის არსებულ მრავალწლიან თანამშრომლობას. თუმცა, ამჟამად თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მხრიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევის ფაქტზე, რაც სამწუხაროდ, არ გახლავთ პირველი შემთხვევა.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



2010 წლის 3 დეკემბერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრის, გიორგი თორთლაძის მიერ ინიცირებული კანონპროექტი "თავისუფლების ქარტია," რომელიც რეალურად წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 2001 წლის ოქტომბერში მიღებული "პატრიოტის აქტის" ქართულ ვერსიას. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე აშშ-ს მიერ "პატრიოტის აქტის" მიღებამ ფართო მასშტაბიანი და მწვავე კრიტიკა დაიმსახურა ადამიანის უფლებების დარღვევის პოტენციური შესაძლებლობის გამო. შესაბამისად, ამ აქტის ქართული ვერსიის მიღება, რომელიც გრამატიკული და სამართლებრივი გაუმართავობის გამო ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, ვერ იქნება აშშ-ს საუკეთესო პრაქტიკის გამეორება.

თავის დროზე, როდესაც კანონპროექტის ინიცირება მოხდა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეგნებულად თქვა უარი "თავისუფლების ქარტიაზე" წერილობითი მოსაზრებების წარდგენაზე, იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ კანონპროექტის ნორმების იურიდიული და გრამატიკული გაუმართავობა შეუძლებელს ხდიდა კანონის ტექსტის აღქმას. მიუხედავად კანონპროექტში არსებული უამრავი ხარვეზებისა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას მწვავე კრიტიკა მოჰყვა არა მხოლოდ უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ, მთლიანად სამოქალაქო სექტორის მხრიდან, საზოგადოებაში არსებობდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ კანონპროექტის ფორმულირებები საჯარო განხილვის შედეგად შეიცვლებოდა, დაიხვეწებოდა და განხილვა საჯარო ფორმატში, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით წარიმართებოდა.

მოლოდინის საპირისპიროდ, ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი მეორე მოსმენით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით, დახურულ კარს მიღმა მიიღო. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 48-ე მუხლის თანახმად, "ინფორმაცია კომიტეტის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე 2 დღით ადრე განთავსდება პარლამენტის ინტერნეტ-გვერდზე", "კომიტეტის სხდომა საჯაროა."

მიუხედავად რეგლამენტის იმპერატიული მოთხოვნისა, ინფორმაცია კომიტეტის დღის წესრიგის შესახებ პარლამენტის ვებ-გვერდზე სხდომამდე ორი დღით არ განთავსებულა. უფრო მეტიც, დღის წესრიგში, რომელიც ინტერნეტ-გვერდზე 3 დეკემბერს, სხდომამდე ორი საათით ადრე დაიდო, კანონპროექტის "თავისუფლების ქარტია" განხილვა გათვალისწინებული არ იყო.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, სათანადო რეაგირებას. გარდა ამისა, მოგიწოდებთ, არ დაუშვათ კანონპროექტის პლენარულ სესიაზე წარმოდგენილი სახით მეორე მოსმენით მიღება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. კანონპროექტის შინაარსობრივი და გრამატიკული გაუმართაობა შეუძლებელს ხდის კონკრეტული ურთიერთობების რეგულირებას და მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევის მაღალ საფრთხეს. კანონპროექტის ზოგიერთი ნორმიდან საერთოდ შეუძლებელია აზრის გამოტანა და ავტორის ჩანაფიქრის გარკვევა.

მაგალითად, თავისუფლების ქარტიის პრეამბულა არ შეიცავს ნორმატიული აქტის დანიშნულებას და პრინციპებს, რაც ზოგადად აუცილებელია კანონპროექტისთვის; კანონპროექტის მესამე მუხლი ეხება სამართლებრივ რეჟიმს, რომლის შინაარსის აღქმა შეუძლებელია გრამატიკული გაუმართაობის გამო და ა.შ.

შესაბამისად, კანონპროექტი არ პასუხობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი `სამართლებრივი განსაზღვრულობის~ პრინციპს, რომლიც სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, ზუსტად და ამომწურავად განსაზღვროს უფლებათა შესაძლო შეზღუდვის ფარგლები.

2. კანონპროექტი მიზნად ისახავს მეტისმეტად ფართო ურთიერთობების რეგულირებას, თუმცა, რეალურად არცერთ მათგანს არ აწესრიგებს სრულფასოვნად. ტექსტში მოცემული ნორმები საკმაოდ მწირია და არ უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული მეტისმეტად ფართო მიზნების განხორციელების რეალურ მექანიზმს.

ზემოთ მითითებული არგუმენტების გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია მუშაობისა და კონსულტაციების გაგრძელება კანონპროექტის ტექსტის დახვეწისა და პოტენციური საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით. გამოვთქვამთ მზადყოფნას, გავაგრძელოთ ინტენსიური თანამშრომლობა აღნიშნული კანონპროექტის დახვეწის მიზნით.

კეთილი სურვილებით,

თამარ ჩუგოშვილი  
თავმჯდომარე